

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ჯაჭვი იმერეთში და რაჭაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება

1 შესავალი

კვლევა ხორციელდებოდა 2013 წლის ივლისიდან 2015 წლის ივნისამდე პრადის, ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებების ჩეხეთის უნივერსიტეტის (ტროპიკული აგრომეცნიერებების ფაკულტეტი), საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციის - „People in Need“-ის და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ერთობლივი თანამშრომლობით. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს რეგიონში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ნაწილს.

კვლევის მიზანია საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება და ანალიზი პროექტის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად. პროექტი „მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება“ იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ხორციელდება „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში“ (ENPARD GEORGIA)-ს ფინანსური მხარდაჭერით.

2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევიტმა ჯგუფმა იხელმძღვანელა მიდგომით, რომელიც იძლევა ერთდროულად რამდენიმე საკითხის შესწავლის შესაძლებლობას. სხვადასხვა სპეციფიკური საკითხის შესაფასებლად განხორციელდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ტრიანგულაცია. მას შემდეგ, რაც გამოვლინდა განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადგილობრივი რვა სექტორი, (ადგილობრივი ექსპერტებისა და ოფიციალურ პირებთან გამოკითხვის შედეგად), განხორციელდა შერჩეული სექტორების დეტალური კვლევა.

კვლევის მიზნებიდან და პროექტის დაფარვის ზონიდან გამომდინარე შეირჩა ქვემოთ ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტები, სადაც მეტ-ნაკლებად გავრცელებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება:

- ხონი
- თერჯოლა
- ბაღდათი
- ხარაგაული
- ონი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:


- 2014 წლის ივლისი - წარმოების სისტემები რვა ძირითადი პროდუქტისათვის იმერეთის 11 მუნიციპალიტეტში;
- 2014 წლის აგვისტო - ბაზრის კვლევა და წარმოების სისტემების ანალიზი პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში;
- 2014 წლის ნოემბერი - პირველი პროდუქტისთვის საპილოტე მონაცემების შეგროვება;
- 2014 წლის მარტი-ივნისი - დანარჩენი პროდუქტებისთვის მონაცემების შეგროვება.
- 2015 წლის მარტი-ივლისი მეორადი ინფორმაციის მოძიება და სამაგიდო კვლევა.

ანალიზისთვის ძირითადად გამოყენებულ იქნა ფერმერთა ჯგუფის და ინფორმირებული პირების თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. კვლევის დიზაინი მიზნად ისახავდა სამიზნე ჯგუფების კონკრეტულ საკითხებთან და თემებთან მიმართებაში ქცევისა და აღქმის შკალის გამოვლენას. ნახევრადსტრუქტურული, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი გამოყენებულ იქნა როგორც ძირითადი თვისებრივი კვლევის მეთოდი. ინტერვიუები ჩატარდა ისეთ პირებთან, რომლებიც გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით უშუალოდ ფლობდნენ ინფორმაციასა და ცოდნას. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 1,5-დან 2 საათამდე. რესპოდენტთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ღირებულებათა მთლიანი ჯაჭვი - დაწყებული მიმწოდებლებით, დამთავრებული ადგილობრივი ბაზრით. შედეგად დღის წესრიგში დადგა ისეთი რესპოდენტების იდენტიფიცირება და ინტერვიუების წარმოება, როგორებიც არიან: სხვადასხვა ზომის ფერმერები, შემგროვებლები, შუამავლები, გადამამუშავებლები, ადგილობრივ ბაზარზე მოვაჭრე გამყიდველები, ექსპორტიორები, ასევე აგრო-სამრეწველო მაღაზიები, რომლებიც ყიდიან თესლს, ნერგებს, სხვადასხვა სახეობის სამუშაო იარაღს, ტექნიკას, პესტიციდებს, ჰერბიციდებს, სასუქებს და სხვა ნაწარმს.

საქონლის ხორცის წარმოების შესახებ სავსე მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:

- ინტერვიუები მესაქონლეობით დაკავებულ ფერმერებთან;
- ინტერვიუები ხორცის მწარმოებელ ფერმერებთან/საწარმეობის წარმომადგენლებთან
- ინტერვიუები სამეურნეო ნაწარმის და საკვები პროდუქტების მიმწოდებლებთან;
- ადგილობრივი ბაზრის შესწავლა.

სურათი 1. მონაცემების შეგროვების წერტილების რუკა



-  მწარმოებელი
-  ადგილობრივი ბაზარი
-  ფოკუსჯგუფი
-  პირუტყვის სასაკლაო

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევა ნაწილობრივ რეპრეზენტატიულია, ასახავს ზოგად სურათს და იძლევა მონაცემებს ყველაზე მეტი სიხშირით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. მეორადი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები კი ემყარება სხვადასხვა არსებული და ხელმისაწვდომი კვლევების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების - FAO-სა და EU-ს მიერ წარმოებულ კვლევებს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს კვლევებს (geostat.ge) და აშ.

კვლევის სამიზმე არეალი არის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონები, თუმცა კვლევაში მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ იმერეთის რეგიონს. მონაცემთა სიმცირის გამო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო არ ახდენს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში არსებული ინფორმაციის ასახვას.


3 მესაქონლეობა როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს და ტრადიციულ დარგს წარმოადგენს, როგორც იმერეთისა და რაჭის რეგიონებისათვის, ისე მთლიანად საქართველოსათვის.

საქონლის ხორცის ბაზრის საერთაშორისო სავაჭრო კონიუნქტურა სწრაფად იცვლება, რადგან განვითარებად ქვეყნებში მუდმივად იზრდება მასზე მოთხოვნა. საქონლის ხორცის ძირითადი მწარმოებლები არიან შემდეგი ქვეყნები: ამერიკის შეერთებული შტატები-20%, ბრაზილია-17%, ევროკავშირი-13% და ჩინეთი-10%. რუსეთი მსოფლიო მასშტაბით მე-10 ადგილზეა საქონლის ხორცის მწარმოებელ ქვეყნებს შორის და მთლიანი წარმოების 6 პროცენტს მიითვლის. აღნიშნულ ქვეყნებში იწარმოება საქონლის ხორცის მსოფლიო წარმოების 56%.

ამასთან აღსანიშნავია რომ საქონლის ხორცის ყველაზე დიდი მწარმოებლები მისი უდიდესი მომხმარებლებიც არიან, კერძოდ: აშშ, ბრაზილია, ევროკავშირი და რუსეთი მსოფლიო მოხმარების 40% -ზე მეტს მიითვლიან.

დიაგრამა 1 - საქონლის ხორცის წარმოება და მოხმარება ევროკავშირში (ათასი ტონა)¹



ხორცის მსოფლიო ბაზარი, სტაბილურად იზრდება, რაც გამოწვეულია მოსახლეობის ზრდით და სოციალური პირობების გაუმჯობესებით. 2007 წლის მონაცემებით, ხორცის მთლიან მოხმარებაში საქონლის ხორცის საშუალო მოხმარება 35% შეადგენდა, ხოლო 2013


¹<http://ec.europa.eu/eurostat>

წლისთვის ანალოგიურმა მონაცემმა 38% შეადგინა. 2013 წლის მონაცემებით ევროკავშირში საქონლის ხორცის საშუალო ფასი 7 ევროს აღწევს, რაც 2006 წლის მაჩვენებელზე 20%-ით მაღალია. საერთო ჯამში ბოლო 8 წლის საშუალო ფასი 6.7 ევროს შეადგენს. აღნიშნული მონაცემები საქონლის ხორცის ბაზრის მდგრადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

საქონლის ხორცის მსოფლიო ექსპორტის 75% მოდის ხუთ ქვეყანაზე: ბრაზილია 20%, ინდოეთი 19%, ავსტრალია 17%, აშშ 13% და ახალი ზელანდია 6%-ით.

საქონლის ხორცის მსოფლიო იმპორტის 45% მოდის, ოთხ უდიდეს იმპორტიორზე: რუსეთი 14 %, აშშ 14%, იაპონია 10% და ევროკავშირი 7%.


დიაგრამა 2 - საქონლის ხორცის იმპორტი ევროკავშირში² (ათასი ტონა)



საქსტატის მონაცემებით 2013 წლისათვის ქვეყანაში წარმოებული ხორცის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) შეადგენს დაახლოებით 0,7%-ს. ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის ხვედრითი წილი წარმოებული ხორცის მთლიან მოცულობაში არის 38%. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში მცირედით გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა. თუმცა, ამავე პერიოდში საქონლის ხორცის წარმოება შემცირდა 35%-ით. ამასთან, საქართველოში ხორცის მთლიანი წარმოებაც კლებადი ტენდენციით ხასიათდება. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში საქონლის ხორცის წარმოების დინამიკა ასახულია 3 და 4-ე დიაგრამებზე.


² USDA – Economic Research Service – Meat Prices (global/regional)

დიაგრამა 3 - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და საქონლის ხორცის წარმოება საქართველოში³ (ათასი სული / ათასი ტონა)



2013 წელს 2006 წელთან შედარებით 30%-ით შემცირდა ქვეყანაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის მოხმარება. კლება ძირითადად ხდება ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხარჯზე, ხოლო იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა შედარებით სტაბილურია. ამის სავარაუდო მიზეზად შესაძლოა დასახელდეს ადგილობრივი პროდუქციის მაღალი ფასი იმპორტირებულ პროდუქციასთან შედარებით.

დიაგრამა 4 - საქართველოში საქონლის ხორცის წარმოება, მოხმარება და იმპორტი⁴




³საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო - www.Geostat.ge

⁴საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო - www.Geostat.ge

საქართველოში საქონლის ხორცის და საქონლის ხორცის პროდუქტების იმპორტი ხდება ევროკავშირიდან (კერძოდ გერმანია), ბრაზილიიდან , ინდოეთიდან და სხვა. აღსანიშნავია რომ 2013 წლის მონაცემებით ინდოეთიდან საქონლის ხორცის იმპორტი მთლიანი იმპორტის 85%-ს შეადგენს. სხვადასხვა მონაცემების თანახმად საქართველოში ინდოეთიდან იმპორტირებული საქონლის ხორცის ღირებულება საცალო ქსელში 6-8 ლარამდე მერყეობს რაც საშუალოდ 45-55% - ით უფრო ნაკლებია ვიდრე საქართველოში წარმოებული ხორცის ფასი.

დიაგრამა 5 - საქართველოში საქონლის ხორცი თვითუზრუნველყოფის დონე⁵



2013 წლის მონაცემებით საქართველოში საქონლის ხორცი თვითუზრუნველყოფის დონე 71%-ს შეადგენს, რაც 2006 წლის მაჩვენებელს 10%-ით ჩამორჩება. საქართველოში საქონლის ხორცი თვითუზრუნველყოფის დონის უკანასკნელი 8 წლის საშუალო მაჩვენებელი 72%-ს შეადგენს. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაბამის პერიოდში საქონლის ხორცის იმპორტი მთლიანი მოხმარების 28%-ია რომლის 85%-საც ინდოეთიდან იმპორტირებული დაბალფასიანი პროდუქტი შეადგენს.

⁵საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო - Geostat.ge

4 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვი

4.1 საწარმოო სიტემები

იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების აბსოლუტური უმრავლესობა ტრადიციულად მისდევს მესაქონლეობას. ისინი აწარმოებენ რძის პროდუქტებს და ხორცს. მოსახლეობის უმრავლესობას ჰყავს 1 დან 10 სულამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომლების დიდი ნაწილი გამოიყენება საოჯახო მოხმარებისთვის (უმეტესად




სურათი 1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა რაჭაში

რძისა და რძის პროდუქტების წარმოების სახით). კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ, მცირე ზომის ფერმერული მეურნეობები, წარმოებული ხორცის და რძის პროდუქტების საშუალოდ 70%-ს თავად მოიხმარენ. გარდა ამისა არსებობენ საშუალო ზომის ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 10-დან 100 სულამდე პირუტყვს და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი განკუთვნილია სარეალიზაციოდ. სამიზნე რეგიონში ფუნქციონირებს რამდენიმე დიდი ზომის ფერმერული მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო საწარმო. საწარმოები შექმნილია უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციით და მათში პირუტყვის რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს. რაჭაში არის ერთადერთი ფერმა, რომელსაც ყავს 500-ზე მეტი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში არის 7 ფერმა, რომელთაც ყავთ 50-დან 100-მდე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. აღნიშნული საწარმოები აწარმოებენ როგორც რძესა და რძის პროდუქტებს, ასევე ხორცს, თუმცა მესაქონლეობიდან მიღებულ შემოსავლებში ხვედრითი წილის მიხედვით, მათთვის მთავარი მაინც არის მერძევეობა. აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში იშვიათად გვხვდება მცირე ან დიდი ზომის ფერმერული მეურნეობა, რომელიც სპეციალიზირებულია მხოლოდ სახორცე მიმართულების მესაქონლეობაზე. უნდა აღინიშნოს რომ ხორცის წარმეობაზე სპეციალიზირებულ ფერმებს ესაჭიროებათ სპეციალური მეხორცეული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში გავრცელებული არ არის (შესაძლოა არსებობდეს მეხორცეული ჯიშის უმნიშვნელო რაოდენობა, თუმცა კვლევის ფარგლებში მათი არსებობა და ლოკაციები ვერ დადგინდა). როგორც აღინიშნა საშუალო ზომის ფერმერული მეურნეობების უმეტესობა სპეციალიზირებულია რძის და რძის პროდუქტების წარმეობაზე. უმეტესად ხორცის წარმეობა ხდება ნამეტი პირუტყვის ხარჯზე, ან მაშინ, როცა საჭიროა ასაკოვანი, ან/და დაბალ პროდუქტიული პირუტყვის ჩანაცვლება და მათი გამოყენება სახორცედ. ერთადერთ გამონაკლისს წარმოედგენს ზემოთ აღნიშნული 500 სულიანი ფერმა რაჭაში, რომელიც სპეციალიზირებულია ხორცის წარმეობაზე და ფლობს


მეხორცული ჯიშის პირუტყვს. ისინი ყველა წესით ახდენენ ხელოვნურ განაყოფიერებას და ჯიშის გაძლიერებას.

დიაგრამა 6 - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა იმერეთში (ათასი სული)⁶



საველე კვლევით და ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის და შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ იმერეთის რეგიონში წარმოებული ხორცის 80% წარმოებულია საოჯახო ფერმერულ მეურნეობებში, ხოლო 20% სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. საოჯახო მეურნეობებში წარმოებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის დაახლოებით 70% გათვალისწინებულია გასაყიდად.

დიაგრამა 7 - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება იმერეთში (ათასი ტონა)⁷



მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებში გავრცელებულია ცხოველის შენახვის ექსტენსიური სისტემა, რომლის დროსაც მეცხოველეობის ყველა სამუშაო სრულდება ხელით,

⁶საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო <http://geostat.ge/>

⁷საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო <http://geostat.ge/>

პრიმიტიული იარაღების გამოყენებით. ამასთან ზამთრობით პირუტყვს მწირი და ერთგვაროვანი საკვები ეძლევა (წვნიანი და კონცენტრირებულის გარეშე), რაც საგრძნობლად ამცირებს საქონლის პროდუქტიულობას.

დიდი ზომის მწარმოებლები ზაფხულობით, ინტენსიურად იყენებენ მაღალ მთიან სამოვრებს, ხოლო ზამთარში კი კონცენტრირებულ საკვებს. რაჭის რეგიონში, საშუალოდ დიდი ზომის ფერმერებს ზაფხულობით პირუტყვი გადაყავთ ალპურ სამოვრებზე, სადაც საკვებად გამოყენებული მწვანე ბალახი შედარებით მაღალი საკვები ღირებულებით ხასიათდება, შემოდგომაზე კი კვლავ აბრუნებენ უკან ფერმებში, სადაც კვება ხდება ბაგურად. ალპურ სამოვრებზე პურუტყვის ყოფნისას, დამით პირუტყვი შეყავთ სპეციალურად მოწყობილ (შომოდობილ) ღია სადგომებში, რათა დაცული იყვნენ მტაცებელი ცხოველებისაგან. ფერმის შენობები კი, რომლებიც გამოიყენება ზამთარში პირუტყვის განსათავსებლად არის ძირითადად კაპიტალური, ან ცალკეულ შემთხვევებში ხის კონსტრუქციების. ცალკეულ დაავადებათა წინააღმდეგ სახელმწიფო ატარებს საქონლის პროფილაქტიკურ აცრებს, რის შემდეგაც პირუტყვს ყურზე ეკვრება ყვითელი სანიშნე უნიკალური ნომრით. მისი საშუალებით ხდება თითოეული პირუტყვის აღრიცხვა ბაზაში, სადაც უნდა განთავსდეს ამ პირუტყვის სრული ისტორია, თუმცა ამ ეტაპზე ასეთი ბაზები ამოქმედებული არ არის, ასევე არსებული პირუტყვის დიდ ნაწილს არ გააჩნია ზემოთ აღნიშნული ყვითელი ბირკა. იმისათვის, რომ მიიღონ რძე ადგილობრივი ფერმერები შეიძენენ ან საკუთარ მეურნეობაში იღებენ ხბოებს. ერთი ხბოს ღირებულება დამოკიდებულია ასაკზე და მერყეობს 300 ლარიდან (ერთ თვემდე ასაკის) 800 ლარამდე (ერთი წლის). მსხვილ ფეხა რქოსანი პირუტყვი სამი წლის ასაკიდან ზრდასრულად ითვლება, რომელსაც შეუძლია მოგვცეს - ხბო და რძე. დიდი ზომის ფერმერული მეურნეობებისთვის საკვების ხარჯი 1 სულ პირუტყვზე შეადგენს საშუალოდ 500 ლარს წელიწადში (ამ ხარჯების დიდი ნაწილი გაიწევა თივის, ნამჯის, ჩალის და კომბინირებული საკვების შესყიდვაზე). საჭირო მედიკამენტების ღირებულება შეადგენს საშუალოდ 20 ლარს წელიწადში 1 სულზე. მუშების საშუალო ანაზღაურება, რომლებიც მეთვალყურეობენ ცხოველებს შეადგენს 240 ლარს წელიწადში 1სულ საქონელზე. მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებში, რომლებიც 1-დან 10-მდე სულპირუტყვს ფლობენ, მეურნეობას თავად ოჯახის წევრები უძღვებიან და დაქირავებულ შრომას არ იყენებენ. საშუალოდ მსხვილი ფერმერული მეურნეობები კი ძირითადად დაქირავებულ შრომას იყენებენ პირუტყვის მოვლის მიზნით.

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში ბაზარზე გასატანად განკუთვნილ ხორცთან დაკავშირებით შემოვიდა ახალი რეგულაცია, რომლის თანახმადაც მსხილფეხა რქოსანი პირუტყვი აუცილებლად უნდა დაიკლას ოფიციალურ სასაკლაოზე, სადაც ვეტერინარის მიერ მოწმდება როგორც ცოცხალი პირუტყვი ასევე ხორცი, რის საფუძველზეც გაიცემა შესაბამისი ცნობა, ე.წ. ფორმა #2 სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ. ოფიციალურ სასაკლაოზე არ დაკვლის შემთქვევაში ფერმერი ვერ მოახერხებს, საქონლის ხორცის ბაზარზე გატანას და გაყიდვას. აღსანიშნავია რომ პირადი მოხმარებისთვის ან ადგილობრივად გასაყიდად

(ეგრედწოდებული „ჭიშკრიდან გაყიდვა“) საქონლის დაკვლა ხდება ოჯახურ პირობებში, ვეტერინარის დასკვნის და შემოწმების გარეშე.

4.2 პროდუქტიულობა

საქონლის სულადობა მსოფლიოში, დაახლოებით 1307 მილიონია, რომელთა შორისაც ჭარბობს სარძევე მიმართულების ჯიშები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობის საშუალო მაჩვენებლის მისაღებად, საჭიროა გაკონტროლდეს ცოცხალი მასა დაკვლის წინ. როგორც მეხორცულ ასევე კომბინირებული ჯიშის პირუტყვს აქვს ოპტიმალური დასაკლავი მასა. თუკი დაკვლის დღეს პირუტყვის ცოცხალი მასა საშალო ოპტიმალურ მასაზე ნაკლებია მაშინ მისი, გამოსავლიანობა იქნება უფრო მცირე ოპტიმალური მასის დროს დაკვლასთან შედარებით.

გარდა ჯიშისა და წონისა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახორცე პროდუქტიულობაზე გავლენას ახდენს პირუტყვის ასაკი, სქესი, მემკვიდრეობა⁸, კვების რაციონი, კლიმატური ზონა და სხვა. დარგის სპეციალისტების განმარტებით ზემოხსენებული ფაქტორები პირუტყვის პროდუქტიულობაზე შემდეგი დოზით მოქმედებენ: **მემკვიდრეობა 24%, კვება და შენახვის პირობები 59%, ასაკი წონა და სხვა ფაქტორები 17%.**

ცხრილი #1: სახორცე მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო პროდუქტიულობა ჯიშების მიხედვით⁹

ჯიში	საშუალო ცოცხალი მასა-კგ	ახალშობილის წონა - კგ	დღე-ღამური ნამატი - კგ	პროდუქტიულობა %
აბერდინანგუსური	450-550	25-30	800-950	60-65
ბიმასტერი	500-600	25-35	850-1000	55-58

აღნიშნული ჯიშები იმერეთისა და რაჭის რეგიონებში პრაქტიკულად არ გვხვდება. როგორც ზემოთ აღნიშნა ამ გეოგრაფიულ არეალში არ მისდევენ გამოკვეთილად სახორცე მიმართულებას, შესაბამისად ჯიშებიც არის ძირითადად კომბინირებული - სარძევე-სახორცე. იმერეთისა და რაჭის რეგიონებში, რამდენიმე მსხვილი ფერმერული მეურნეობების გარდა, საოჯახო მეურნეობებში ძირითადად გავრცელებულია დაბალპროდუქტიული ჯიშები, რომელთა გამრავლება ხდება არა ხელოვნურად არამედ

⁸ იმერეთისა და რაჭა ლეჩხუმის რეგიონებში, მცირე და საშუალო ზომის ფერმერულ მეურნეობებში არ არსებობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი კონტროლის მექანიზმები. შესაბამისად შეჯვარება და გამრავლება ხდება სტიქიურად ჯიშების დამთხვევის გარეშე. შესაბამისად ამჟამად სუფთა ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, გამოვლენა თითქმის შეუძლებელია.

⁹ Beef Market Outlook - 2013

ბუნებრივად (უკონტროლოდ) რაც კიდევ უფრო ამცირებს მათ პროდუქტიულობას, რაზედაც ასევე უარყოფითად მოქმედებს კვების ნორმების დაუცველობა და მოვლის არასათანადო პირობები.


4.3 საქონლის ხორცის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთის და რაჭა ლეჩხუმის რეგიონებისთვის

ადგილობრივი ფერმერული მეურნეობები სახორცედ იყენებენ მოზვრებს, რადგან 24-26 თვის მოზვერის დასაკლავი წონა უმეტესად ოპტიმალური დასაკლავი წონის ტოლია. როგორც ავღნიშნეთ კვებას დიდი გავლენა აქვს პირუტყვის წონაზე, ამასთან 24-26 თვის ცხოველი ბევრად უფრო სწრაფად აგროვებს ორგანიზმში ცხიმს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ასაკში. სახორცედ გადარჩეულ ცხოველთა სუქება აუმჯობესებს მათი ხორცის ხარისხს და ადიდებს მის რაოდენობას. იმის მიხედვით თუ სასუქი ცხოველი რომელ საკვებს იღებს მეტი რაოდენობით განისაზღვრება სუქების ტიპები: სუქება სილოსით, სენაჟით, ბუყით, სამოვრით და მადალკონცენტრირებული ტიპის სუქება; ეს უკანასკნელი ყველაზე ინტენსიურია, მაგრამ საქართველოში იშვიათად გამოიყენება კონცენტრატების ნაკლებობისა და სიძვირის გამო. სიიაფის და სიმარტივის გამო ყველაზე გავრცელებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სამოვრით სუქება. მიუხედავად იმისა, რომ საქონლის სუქებისათვის გაცილებით უფრო ეფექტურია ბაგური კვება, რეგიონში ეს პრაქტიკულად არ ხდება, ვინაიდან მცირე და საშალო ზომის ფერმერები არ ფლობენ საკვები წყაროების ბაზებს, რაც მათ მთელი წლის მანძილზე მისცემდა მაღალ პროდუქტიულ საკვებს. დღესდღეობით მსოფლიოში გამოიყენება საკვების წარმოების თანამედროვე სისტემები, თუმცა ისინი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში თუ არის დანერგილი რეგიონში, შესაბამისად საკვების მიღება ხდება ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებით. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა რომ ბაგური კვება და კონცენტრირებული საკვების გამოყენება ხდება მხოლოდ და მხოლოდ, რაჭაში არსებულ დიდი ზომის ფერმერულ მეურნეობაში.

სახორცედ პირუტყვის რეალიზაცია ხდება როგორც ხბოსი 2-3 თვის ასაკში, ანუ ფროხშირად როგორც მოზვრის 24-26 თვის ასაკში, როცა მისი წონა და შესაბამისად გაყიდვის ღირებულებაც გაცილებით მაღალია. უშუალო მწარმოებლები პროდუქციის რეალიზაციას უშუალო მომხმარებლებზე თითქმის არ ახდენენ. არსებობენ შუამავლები (რომლებსაც ყასბებს უწოდებენ), რომლებიც ყიდულობენ პირუტყვს მწარმოებლებისაგან - საოჯახო ან ფერმერული მეურნეობებისაგან, სასაკლაოზე ახდენენ მათ დაკვლას და აწვდიან ადგილობრივ, რეგიონული ცენტრების ან დედაქალაქის სასოფლო სამეურნეო ბაზარებს, სადაც ყავთ საკუთარი წარმომადგენლები ან პარტნიორები. მათი შეფასებით რეალიზებული პროდუქტის 80%-მდე მოდის ინდივიდუალურ მომხმარებლებზე და საზ. კვების ობიექტები, ხოლო დანარჩენი 20% გამოიყენება სხვა სახის ხორცპროდუქტების დასამზადებლად. ცალკე კატეგორია არის ხორცის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები. ისინი ძირითადად მოიხმარენ ასაკოვანი საქონლის ხორცს, ასევე ბაზარზე გასაყიდად არსებული ხორცის იმ ნაწილს, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში არ გაიყიდა, ვარგისია თუმცა პირველადი

სახით მისი რეალიზაცია უკვე პრობლემურია. ასეთი ხორცის ფასი დაახლოებით 10-15% ნაკლებია ჩვეულებრივთან შედარებით.

სქემა 1. საქონლის ხორცის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის რუკა იმერეთისა და რაჭა ლეჩხუმის რეგიონზე



ხორცის მწარმოებელი ფერმერები - მცირე და საშუალო ზომის ფერმერები, აწარმოებენ როგორც ძროხის ასევე ხბოს ხორცს, რომელიც რეალიზაციამდე ინახება სპეციალურ მაცივარში. გამონაკლის წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტში არსებული დიდი ზომის ფერმები რომლებიც წარმოებულ ხორცს ყიდნიან თბილისში, საკუთარ ბრენდულ მაღაზიებში. შამავლები/დისტრიბუტორები -სამიზნე რეგიონებში ვხვდებით ორი სახის შუამავლებს: პირველი რომლებიც კარდაკარ დადიან და ყიდულობენ საქონელს გლეხებისაგან, რომლებიც შემდეგ იკვლება სასაკლაოზე და ხდება რეალიზება. აღნიშნული დისტრიბუტორები როგორც წესი პროდიუქციის რეალიზაციას ახდენენ ადგილობრივ და რეგიონალურ ბაზრებზე, ასევე


აბარებენ რესტორნებსა და ხორცის მაღაზიებს. მეორე ტიპის შუამავლებს აქვთ პუნქტები ბაზარში სადაც იბარებენ როგორც ცოცხალ ასევე დაკლულ ხორცს და ყიდნიან ადგილობრივ ბაზრებზე.

პირუტყვის სასაკლაო - მცირე და საშალო ზომის ფერმერული მეურნეობები საქონლის დასაკლავად მოიხმარენ რეგიონში არსებული კერძო სასაკლაოების მომსახურებას. ამჟამად იმერეთისა და რაჭა ლეჩხუმის რეგიონში მოქმედებს 16 კერძო სასაკლაო. აღსანიშნავია რომ დიდი ზომის ფერმერული მეურნეობები (რაჭის 500-სულიანი ფერმა) იყენებს საკუთარ სასაკლაოს რომელიც ადაპტირებულია წარმოების ხაზთან და შეესაბამება სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარულ ნორმებს.

4.4 პროდუქციის ფასები

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის სარეალიზაციო ფასები მნიშვნელოვნად იცვლება წლის განმავლობაში. ის ყველაზე მაღალია წინა სადღესასწაულო დღეებში (საახალწლოდ და საადღგომოდ), ხოლო ყველაზე იაფი კი ზაფხულის თვეებში. გამონაკლისია ხბოს ხორცი, რომელიც შედარებით სტაბილურ ფასს ინარჩუნებს წლის განმავლობაში, ამასთან ხბოს ხორცის ფასი დაახლოებით 1,5-2 ლარით მაღალია ჩვეულებრივი ხორცის ფასთან შედარებით. ხორცის რეალიზაციის მოცულობა და შესაბამისად ფასიც იკლებს მარხვის პერიოდში. ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო წლიური სარეალიზაციო ფასი შეადგენს 4-5 ლარს. რეგიონში არსებული ჯიშებისათვის, ცოცხალი პირუტყვიდან ხორცის გამოსავლიანობა არის 40-50%. ხორცის საბითუმო გასაყიდი ფასი 8-10 ლარია კილოგრამზე, ხოლო საცალო ფასი 11-12 ლარი. 2006 წლის მონაცემთან შედარებით 2013 წელს საქონლის ხორცის ფასი თითქმის გაორმაგდა, რაც მწარმოებლებისათვის პოზიტიურ სიგნალს წარმოუადგენს.

დიაგრამა 8 - საქონლის ხორცის საშუალო ფასები საქართველოში¹⁰




იმერეთსა და რაჭა ლეჩხუმში ადგილობრივ ბაზარზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის

¹⁰საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო - Geostat.ge

ხორცის ფასი 1,5-2,5 ლარით უფრო ნაკლებია ვიდრე ანალოგიური პროდუქტის ფასი თბილისში, თუმცა ტრანსპორტირების და სარეალიზაციო პუნქტის ქირის სიძვირის გამო წვრილი გადამყიდვლები თავს იკავებენ პროდუქციის ტრანსპორტირებისგან. შესაბამისად ადგილობრივი პროდუქციის დიდი ნაწილი ადგილობრივ ბაზრებზე იყიდება. სამწუხაროდ არ არის განვითარებული პირდაპირი კონტრაქტების სისტემა, მიმწოდებლებსა და დიდი ზომის მომხმარებლებს შორის (რესტორანი, სასტუმრო). რესტორნებისა და სასტუმროების დიდი ნაწილი, ადგილობრივ ბაზარში ან სუპერმარკეტში შეიძენენ ხორცს, რაც უფრო ძვირი ჯდება ვიდრე პირდაპირი მიწოდების შემთხვევაში დაჯდება.

დიაგრამა 9 - საქონლის ხორცის საშუალო ფასი იმერეთის რეგიონში¹¹



იმერეთის რეგიონში არსებობს რამდენიმე ხორცის გადამამუშავებელი ქარხანა, რომლებიც ადგილობრივი ხორცის გადამამუშავებით აწარმოებენ სხვადასხვა პროდუქტებს და ნახევარფაბრიკატებს. მათი ფასი როგორც წესი დაახლოებით 40-50%-ით აღემატება ხორცის ფასს და ეს დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის სახეობასა და მის საწარმოებლად გამოყენებულ ინგრედიენტებზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების პროცესში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცთან ერთად ასევე გამოიყენება ღორის ხორციც, რომელიც დაახლოებით 15%-ით ნაკლები ღირს.

¹¹საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო - Geostat.ge

ცხრილი 2 - საქონლის ხორცის ფასები საქართველოს დიდ ქალაქებში 2013 წელი


ობიექტი	რბილი ნაჭრები (ლარი)	ძვლიანი ნაჭრები (ლარი)
ხორცის დახლები სასურსათო მაღაზიებში	16	12, 50
აგრარული ბაზარი	13	10
გუდვილი	16	12
კარფური	16	12

ცხრილი 3. საქონლის ხორცის ფასები საქართველოს სუპერმარკეტებში 2013 წელი

ხორცისნაჭერი	ფასი (ლარი)
ნეკნი	10.9
კისერი	11.15
ჩალადაჯი ძვლით	16.5
სუკი	21.7
უძვლო ბარკალი	17.5
ბეჭი ძვლით	16.5
არტალა	9.95
რბილი ხორცი	16.5

საქართველოში საქონლის ხორცის და საქონლის ხორცის პროდუქტების იმპორტი ხდება ევროკავშირიდან (კერძოდ გერმანია), ბრაზილიიდან , ინდოეთიდან და სხვა. აღსანიშნავია რომ 2013 წლის მონაცემებით ინდოეთიდან საქონლის ხორცის იმპორტი მთლიანი იმპორტის 85% შეადგენს. სხვადასხვა მონაცემების თანახმად საქართველოში ინდოეთიდან იმპორტირებული საქონლის ხორცის ღირებულება საცალო ქსელში 6-8 ლარამდე მერყეობს რაც საშლოდ 45-55% - ით უფრო ნაკლებია ვიდრე საქართველოში წარმოებული ხორცის ფასი. 2013 წელს ევროკავშირში საქონლის ხორცის საშუალო ფასმა 7 ევრო შეადგინა, რაც ქართულ ვალუტაში საშუალოდ 16-17 ლარამდე მერყეობს. აღსანიშნავია რომ 2006 წელთან შედარებით 2013 წელს საქონლის ხორცის ფასმა 20%-ით მოიმატა.

დიაგრამა 10 - საქონლის ხორცის საშუალო ფასი ევროკავშირში (1 კგ/ევრო)¹²



5 კონკურენტუნარიანობის აღმასის მოდელი: - წარმოებისათვის საჭირო რესურსები, მოთხოვნა, მონათესავე სექტორები; კონკურენცია

5.1 წარმოებისთვის საჭირო რესურსები

ხორცისა და ხორცპროდუქტების საწარმოებლად ფერმერს აუცილებლად უჭირდება შემდეგი ძირითადი კომპონენტები:

სადგომი. პირუტყვის სადგომად გამოიყენება როგორც ხის ასევე კაპიტალური ნაგებობები. იმერეთში და რაჭაში საოჯახო მეურნეობები უმეტეს წილად ხის ნაგებობას იყენებს, რომლის აგება შედარებით ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს თუმცა ექსპლოატაციის ვადა გაცილებით ნაკლებია ვიდრე კაპიტალური ნაგებობის. ხის შენობის შემთხვევაში მიზანშეწონილია მისი დათბუნება ბიკროსტით (ტოლი), რათა ზამთრის პირობებში დაცული იქნეს ტემპერატურული რეჟიმი, სასურველია 15-18 გრადუსი ცელსიუსით. ზაფხულში კი მიზანშეწონილია ხდებოდეს შენობის ვენტილაცია. ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ 30 სულზე გათვლილი კაპიტალური შენობის (აღჭურვილობის გარეშე) მშენებლობის ხარჯი დაახლოებით 8-10 ათასი ლარი არის (4-5 ათასი აშშ დოლარი). ხოლო ანალოგიური ხის ნაგებობის აგების ღირებულება არის დაახლოებით 3,5-4 ათასი ლარი (1500-2000 აშშ. დოლარი)

¹² Economic Prospects for Agriculture - Outlook 2013

საკვები. პირუტყვის კვების რაციონის დაცვა აუცილებელია როგორც მისი ნორმალური განვითარებისათვის, ისე სათანადო საკლავი მასის მიღებისათვის. საოჯახო მეურნეობები, რომლებიც რამდენიმე ერთეულ პირუტყვს ფლობენ, ზამთარში ძირითადად იყენებენ საკუთარ მეურნეობებში მოწეულ სიმინდს, ჩალასა და თივას, ხოლო ზაფხულში – ბალახს. შედარებით მსხვილი ფერმები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები კი საჭირო საკვებს (ხორბალი, სიმინდი, თივა) უმეტეს შემთხვევებში იძენენ აღმოსავლეთ საქართველოში. საოჯახო მეურნეობები, როგორც წესი, ვერ ახერხებენ საკვები რაციონის დაცვას, შედეგად კი მათი პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია. მაღალ პროდუქტიული ჯიშები გაცილებით მგრძობიარენი არიან საკვების რაციონის დაუცველობის მიმართ და თითოეული ჯიშისათვის რაციონიც განსხვავებულია.

საკვები პროდუქტების შესყიდვის საშუალო წლიური ფასები არის: ხორბალი - 0,65 ლარი 1 კილოგრამი, 1 ტონა თივა - 220 ლარი, 1 კილოგრამი სიმინდი - 0,5 ლარი (ზოგ ფერმერს სიმინდი მოყავს საკუთარ მეურნეობაში და მისი თვითღირებულება არის 0,22 ლარი 1 კილოგრამზე).

ასევე კვლევის შედეგად დადგინდა რომ საშუალოდ 1 ზრდასრული საქონლისათვის წლის განმავლობაში საშუალოდ საჭიროა : თივა – 1,7 ტონა; მარცვლეული – 270 კგ; მარილი – 7 კგ; ნამჯა – 18 კგ; თუ დავუშვებთ, რომ ყველა ამ კომპონენტს ფერმერი ყიდულობს, მაშინ მისი საშუალო ხარჯი ერთი ზრდასრული საქონლის გამოკვებაზე საშუალოდ წელიწადში 400 ლარი (200 აშშ დოლარი) იქნება.

მედიკამენტები. ცხოველისათვის საჭირო მედიკამენტების შექმნა ხდება ქუთაისის და თბილისის ვეტ-აფთიაქებში, ასევე არის რამოდენიმე ვეტ.მალაზია მუნიციპალიტეტებშიც, რომლებსაც საკმაოდ შეზღუდული ასორტიმენტი აქვთ, პროდუქციის საცალო ფასი და ხარისხი ყველა აფთიაქში მეტ-ნაკლებად მსგავსია. საშუალოდ ამ სხვილ მწარმოებლებს როგორც წესი ყავთ საკუთარი ვეტ-ექიმი, ხოლო წვრილი მწარმოებლები საჭირო მომსახურებებს იღებენ ან ვეტ-აფთიაქებიდან ან კიდევ მსხვილი მწარმოებლების ეტ-ექიმებისაგან. მედიკამენტები არის უცხოური წარმოების და მათი იმპორტი ხდება სხვადასხვა ქვეყნებიდან, კერძოდ რუსეთიდან, უკრაინიდან და ჰოლანდიიდან. თავის მხრივ, ადგილობრივი ვეტ-აფთიაქები წამლებს საბითუმოდ ყიდულობენ თბილისში უშუალოდ იმპორტიორებისაგან. მოთხოვნა მედიკამენტებზე ყველაზე მაღალია გაზაფხულსა და ზაფხულში, რადგან ამ დროს ყველაზე ხშირია დაავადებების გავრცელება.

ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტები არის: ალბენდაზოლი და გიტოქსი-პარაზიტების საწინააღმდეგო წამლები, ღირებულება: 1 ტაბლეტი - 1 ლარი, დოზა: 1 ტაბლეტი ყოველ 100 კგ წონაზე. ძირითადად გამოიყენება გაზაფხულზე და შემოდგომაზე; ლიმოქსინი-ანტიბიოტიკი, ღირს 5 ლარი 1 ფლაკონი, ჭირდება 1 ფლაკონი ყოველ 100 კგ წონაზე. საშუალოდ წელიწადში 1 სულ პირუტყვს ჭირდება 20 ლარის მედიკამენტები.

ხელოვნური განაყოფიერება. ცხოველების გამრავლებისას მათი ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით ხელოვნურ განაყოფიერებას იყენებენ მხოლოდ საშუალო და მსხვილი ფერმები, საოჯახო მეურნეობები კი როგორც წესი ბუნებრივი განაყოფიერების გზით ახდენენ ცხოველის გამრავლებას, შედეგად ვერ ხდება ჯიშის გაუმჯობესება, რაც პირუტყვის დაბალ პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი მიზეზია. ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო გენეტიკური მასალა, დანამატები, აღჭურვილობები და აქსესუარები ქვეყანაში ძირითადად შემოიტანება ევროპიდან. 1 ხელოვნური განაყოფიერების ღირებულება საშუალოდ არის 50-60 ლარი.

სამუშაო ძალა. საოჯახო მეურნეობებში, რომლებიც 1-დან 10-მდე სულ პირუტყვს ფლობენ, მეურნეობას თავად ოჯახის წევრები უძღვებიან და დაქირავებულ შრომას არ იყენებენ. საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები კი ძირითადად დაქირავებულ შრომას იყენებენ, იმერეთისა და რაჭის რეგიონში არსებული ფერმერული მეურნეობების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პირუტყვის მომვლელთა საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 20 ლარს ყოველ 1 სულ საქონელზე.

საწარმოო ხაზი. მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებს არ სჭირდებათ საწარმოო ხაზი, თუმცა საშუალო და დიდი ზომის მეურნეობების გამართულად მუშაობა აუცილებლად მოითხოვს მცირე ან დიდი წარმადობის საწარმოო ხაზს. საწარმოო ხაზი სხვადასხვა პროდუქტის დასამზადებლად გამოიყენება. სტეიკის და ხორცის ბურგერის დასამზადებელი მცირე საწარმოო ხაზი რომელიც 2000-5000 კილოგრამ ხორცს გადაამუშავებს 30 000 დოლარი ღირს, ხოლო მისი ტრანსპორტირება და მონტაჟი საშუალოდ 3000 დოლარი ჯდება.

ხორცის შენახვა. ხორცის წარმოებისა და შენახვისათვის გამოიყენება სპეციალური მაცივარი, რომელიც საქონლის ხორცს ყინავს -15 დან - 20 გრადუს ცელსიუსამდე და უნარჩუნებს გემოვნებით თვისებებსა და ვიტამინებს. ხორცის გრძელ მანძილზე ტრანსპორტირებისთვის კი გამოიყენება სპეციალური ვაგონ-მაცივარი, რომელიც შეიძლება მიებას ჩეულებრივ სედანს ან დამონტაჟდეს სპეციალურ მანქანაზე. სამწუხაროდ მცირე ფერმერული მეურნეობები შენახვისა და ტრანსპორტირების წესებს არ ან ვერ იცავენ. შესაბამისად იძულებულები არიან პირუტყვის დაკვლიდან უმოკლეს ვადაში მოახდინონ მისი რეალიზაცია.


პირუტყვის სასაკლაო. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება უშუალოდ არის დაკავშირებული ცხოველის სასაკლაოებთან, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბაზარზე ხორცის გასატანად აუცილებელია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაიკლას ოფიციალურ სასაკლაოზე, რომლის საქმიანობა სახელმწიფო რეგულირებას ექვემდებარება. სურსათის უვნებლობის სამსახური მოითხოვს შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების დაცვას სასაკლაოსაგან საქმიანობის განხორციელების ნებართვის მინიჭებისათვის, რომლის შემოწმება ხდება ყოველკვარტლურად. აღნიშნულის საფუძველზე კი გაიცემა საქმიანობის ნებართვა 6 თვით. იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 16 სასაკლაო (მ.შ. 2 ქუთაისში), სადაც ხორციელდება ცხოველთა დაკვლა ვეტერინარული ზედამხედველობით. ქ. ქუთაისში არსებულ თითოეულ

სასაკლაოზე ყოველთვიურად საშუალოდ იკვლება 400-მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. სასაკლაოს მომსახურების ფასი არის 10 ლარი ხბოზე, ხოლო 20-30 ლარი ზრდასრულ პირუტყვზე მისი წონისშესაბამისად. მომსახურების ღირებულება არ არის დამოკიდებული სეზონურობაზე და მუდმივია წლის ნებისმიერ დროს. აღსანიშნავია რომ დიდი ზომის ფერმერულ მეურნეობებს რომლებიც ფლობენ საწარმოო ხაზებს, აქვთ საკუთარი სასაკლაო.

5.2 მოთხოვნა

საქსტატის ოფიციალური მონაცემებით 2013 წელს საქართველოში მოხმარებული იქნა 121,7 ათასი ტონა ხორცი, რაც უკანასკნელი 8 წლის საშუალო წლიურ მოხმარებას 5 ათასი ტონით აღემატება. აღსანიშნავია რომ ბოლო წლებში მცირდება საქონლის ხორცის მოხმარება, მცირედით იზრდება ღორის ხორცის მოხმარება, ხოლო ფრინველის ხორცის მოხმარება 2006 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა. შესაბამისად ბაზრის ზრდა ძირითადად ფრინველის ხორცის მოხმარების ზრდამ განაპირობა. მთლიანობაში ხორცის ბაზრი საკმაოდ სტაბილურია და მისი მოცულობის ცვლილება აღნიშნულ 8 წლიან პერიოდში 5%-ს არ აღემატება, როგორც ზრდის ასევე კლების მიმართულებით. უკანასკნელი 8 საშუალო მაჩვენებლით საქართველოში საქონლის ხორცით თვითუზრუნველყოფის დონე 72 პროცენტია. თუმცა 2006 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 81 პროცენტი იყო ხოლო 2013 წელს კი 71 პროცენტი. საქართველო არ ახდენს საქონლის ხორცის ექსპორტს, შესაბამისად ქვეყნაში წარმოებული საქონლის ხორცის 100% ქვეყნის შიგნით მოიხმარება. აღნიშნულ მაჩვენებელზე დაყრდნობით შეიძლება დავუშვათ, რომ საქართველოში იმპორტირებული იაფიანი ხორცი გამოიყენება, როგორც დეფიციტის შემავსებელი და არა როგორც ბაზრიდან შიდა პროდუქციის გამძველებელი.

დიაგრამა 11 - საქონლის, ღორის და ფრინველის ხორცის მოხმარება საქართველოში¹³ (ათასი ტონა)



¹³საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო <http://geostat.ge/>

სხვადასხვა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ ხორცის ბაზრის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები მეტწილად განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- 2006 წელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც არსებობდა მაღალი რისკი ფრინველის გრიპის გავრცელებისა, რის გამოც მომხმარებლები თავს იკავებდნენ ფრინველის ხორცის მოხმარებისაგან, ხოლო მწარმოებლები ამცირებდნენ წარმოების მოცულობას. აღნიშნული რისკის შემცირებამ კი შესაბამისად გამოიწვია მოხმარების ზრდა;
- ფრინველის ხორცის საშუალო ფასი დაახლოებით 40%-ით ნაკლებია ვიდრე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის ფასი, რაც ასევე მნიშვნელოვან განვლენას ახდენს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

რეგიონში წარმოებული ხორცი და მისგან დამზადებული პროდუქტები სრულად იყიდება ქვეყნის შიგნით, უმეტესწილად რეგიონში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე, რესტორნებში და სასურსათო მაღაზიებში. ამასთან, მცირე ზომის მწარმოებლები როგორც წესი, პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე, ხოლო საშუალო და მსხვილი მწარმოებლები ასევე ორიენტირებული არიან შედარებით უფრო მსხვილ სავაჭრო ქსელებზე და საზ. კვების ობიექტებზე.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე არსებულ მოთხოვნას დიდ წილად განაპირობებს, საქართველოში არსებული მოხმარების სტრუქტურა. როგორც წესი საქონლის ხორცის მოხმარება ხდება ოჯახების მიერ, რომლებიც ძროხის ხორცს სხვადასხვა კერძებში იყენებენ. საქონლის ხორცზე მოთხოვნა დაბალია რესტორნების მხრიდან, რადგან მათ მენიუში საქონლის ხორცით დამზადებული კერძები საკმაოდ მცირეა, ან არაპოპულარულია მომხმარებლებს შორის. ხბოს ხორცი მოთხოვნადია როგორც რესტორნების ასევე ოჯახების მხრიდან, რადგან რესტორნები ამზადებენ ხბოს მწვადს რაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კერძია რესტორანში. ხოლო ოჯახები სხვადასხვა კერძებს რაც განსაკუთრებით სასარგებლოა მოზარდებისათვის.

5.3 მონათესავე სექტორები

მცირე ზომის ფერმერული მეურნეობებისათვის ხორცის რეალიზაციიდან წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი არც თუ ისე დიდია. გარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის რეალიზაციისა ფერმერები აწარმოებენ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსაც, როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე ბაზარზე გასატანად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გავრცელებულია რძისა და ყველის წარმოება. კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცირე ფერმერული მეურნეობის აბსოლიტური უმრავლესობა რომლებსაც ჰყავთ ძროხა, აწარმოებენ რძეს ან/და ყველს.


საშუალო და დიდი ზომის ფერმერული მეურნეობები ძირითადად დამოკიდებულნი არიან მესაქონლეობიდან მიღებულ შემოსავლებზე რაც გულისხმობს: ხორცის წარმოება და რძისა

და რძის პროდუქტების წარმოებას. დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით ისინი ახორციელებენ დამატებით საქმიანობასაც. კერძოდ, მათ უმრავლესობას აქვს საკუთარი წისქვილი, რომელსაც ერთის მხრივ იყენებენ საკუთარი საჭროებისათვის საკვების დასამზადებლად, ხოლო მეორეს მხრივ წვრილი ფერმერებისათვის მომსახურების გასაწევად, თუმცა ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში უმნიშვნელოა. გარდა ამისა ხორცისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი ფერმერების გარკვეულ ნაწილს, როგორც წესი მოშენებული ჰყავთ ღორები მცირე რაოდენობით. ყველის დამზადების პროცესში დარჩენილი გამოუსადეგარი მასა, საუკეთესო საკვები არის ღორებისთვის. რასაც ღორების შენახვის ღირებულება მინიმუმამდე დაჰყავს.

დაკლული ხორცის ტრანსპორტირება ხდება უშუალოდ ბაზარზე სადაც ყასაბი თავად ან გამყიდველის დახმარებით ყიდის პროდუქტს. გამყიდველი მუდმივად დახლთან დგას და მისი ანაზღაურება არის 10 ლარამდე დღეში. ქუთაისის ადგილობრივი ბაზრის ანალიზმა აჩვენა, რომ ერთი გამყიდველი მარხვის პერიოდში ყიდის დაახლოებით 40-50 კგ საქონლის ხორცს დღეში, ხოლო წლის სხვა პერიოდში 150 კგ-მდე. სადღესასწაულო დღეებში კი 200 კგ-მდე. ქუთაისის ცენტრალურ ბაზარში ერთი მცირე ზომის ხორცის მაღაზიის (2-3 კვმ) ფართის იჯარის გადასახადი შეადგენს 1000 ლარს თვეში, ამასთანავე თვითონ მოვაჭრეები იხდიან მათ მაღაზიაზე რიცხულ ელ. ენერჯის და დასუფთავების გადასახადებს. მთლიანად ხარჯები იჯარის და კომუნალური ხარჯების ჩათვლით შეადგენს თვეში დაახლოებით 1200-1300 ლარამდე. პროდუქციის შენახვა ხდება ბაზარში არსებულ დიდ მაცივრებში. თვითონ მოვაჭრეებს აქვთ ერთი დახლ-მაცივარი და ერთი საშუალო ზომის მაცივარი, რომელშიც ინახავენ ხორცის მცირე მარაგს.

5.4 კონკურენცია

ხორცის პროდუქტების ბაზარზე ქვეყანაში და შესაბამისად რეგიონშიც კონკურენცია საკმაოდ მძაფრია. განსაკუთრებით საყურადღებოა კონკურენცია ადგილობრივი წარმოების ხორცსა და იმპორტირებულ პროდუქციას შორის. აგრეთვე არსებობს კონკურენცია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცსა და მონათესავე პროდუქტებს შორის, როგორც არის ფრინველის ხორცი და ღორის ხორცი. ბაზრის ანალიზმა ცალსახად აჩვენა, რომ საფასო კონკურენციაში ადგილობრივი წარმოების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი აშკარად



სურათი 3. ხორცპროდუქტების დახლი ქუთაისის ადგილობრივი ბაზარში

ჩამოუვარდება როგორც მისი პორტირებულ კონკურენტებს ასევე ზემოთ აღნიშნული მონათესავე პროდუქტებს. სწორედ ამის შედეგია ის რომ ბოლო წლებში ქვეყანაში მცირდება საკვლევი პროდუქტის წარმოება და მოხმარება. თუმცა როგორც მწარმოებლები და გამყიდველები, ისე მომხმარებლები ცალსახად აღიარებენ ადგილობრივი წარმოების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის ხარისხის უპირატესობას იმპორტირებულთან შედარებით. მიუხედავად ამისა, დაბალი ფასის გამო იმპორტირებულ პროდუქციაზე მოთხოვნა საკმაოდ სტაბილურია ბაზარზე. ეს უკანასკნელი მოიხმარება ძირითადად საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქარხნების მიერ, ხოლო ინდივიდუალური მომხმარებლები რეგიონში თავს იკავებენ მისი ყიდვისაგან, ირჩევენ რა ადგილობრივად წარმოებულს

6 სტრატეგიული მწარმოებლობა და ხარისხი

6.1 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება- კვების უსაფრთხოებასთან და ხარისხთან მიმართებაში

საქართველოში მას შემდეგ, რაც ბაზრისათვის მისაწოდებელი ხორცის მიღებისათვის სავალდებულო გახდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა ოფიციალურ სასაკლაოზე, რომელსაც აქვს სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ მიცემული ნებართვა, მნიშვნელოვნად შემცირდა ჯანმრთელობისათვის საშიში ხორცის ბაზარზე მოხვედრის რისკი. სასაკლაოზე სავალდებულოდ ხდება როგორც ცოცხალი საქონლის ასევე მიღებული ხორცის შემოწმება და გაიცემა შესაბამისი ცნობა. თავის მხრივ, სასაკლაოზე შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა ექვემდებარება პერიოდულ შემოწმებას. გარდა ამისა, სახელმწიფო რეგულირებას ექვემდებარება აგრეთვე ხორცპროდუქტებით ვაჭრობა. ყოველივე ამის შედეგად ქვეყანაში უკანასკნელი წლების განმავლობაში მინიმუმადეა შემცირებული საკვებად უვარგისი ხორცის მიერ ადამიანებისათვის ზიანის მიყენების ფაქტები. თუმცა მიუხედავად კანონის მიღებისა და რეგულაციის გამკაცრებისა დღემდე არის რაიონები სადაც სასაკლაო არ მოქმედებს. მაგალითად ხარაგაულში არ მოქმედებს არცერთი სასაკლაო. უახლოესი სასაკლაო ქალაქიდან დაშორებულია 30 კილომეტრით, რაც არარენტაბელურს ხდის პირუტყვის ტრანსპორტირებას და სასაკლაოზე დაკვლას. აქედან გამომდინარე ამ ქალაქში შეუძლებელია ხდებოდეს სანიტარული და ვეტერინარული ნორმების დაცვა პირუტყვის დაკვლისას. როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა ხარაგაულში არსებული ხორცის მაღაზიები თავად ახდენენ დაკლული ხორცის შემოწმებას. თუმცა ამის ცენტრალიზებული კონტროლის სისტემა არ არსებობს.

მწარმოებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ხარისხის კონტროლის სისტემის არსებობა ბაზარზე აუცილებელია როგორც მიმწოდებელთა, ისე მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვისა და უსაფრთხოებისათვის. თუმცა აღნიშნავენ, რომ საჭიროა ყველა ქალაქში არსებობდეს სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ერთი ან ორი სასაკლაო მაინც.

7 ექსპლუატაციური მწარმოებლურობა - დამუშავება, გადაადგილება, დაავადებები, ბიოლოგიური საფრთხეები

7.1 დამუშავება

მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების უმეტესობას, არ მიჰყავს პირუტყვი სასაკლაოზე დასაკლავად. როგორც წესი შუამავლები (ყასბები) ადგილზე ყიდულობენ ცოცხალ პირუტყვს, რომლებიც მიჰყავთ სასაკლაოზე დასაკლავად. ამის შემდეგ დაკლული და გასუფთავებული ხორცი მიაქვთ ბაზარში სპეციალურად მომზადებულ დახლ მაცივარში ან ვაგონ მაცივარში. მცირე ზომის შუამავლები სარეალიზაციო პუნქტში ჭრიან საქონლის ხორცს რამდენიმე კილოგრამიან ნაჭრებად, ათავსებენ დახლ-მაცივრებში და ყიდიან უშუალო მომხმარებლებზე.

საშალო ზომის ფერმერული მეურნეობების დიდი ნაწილი თავად ახდენს პირუტყვის ტრანსპორტირებას სასაკლაოზე. პროდუქციის დაკვლის შემდეგ კი ხორცს აბარებს ყასბებს, ან თავადვე ახდენს მის რეალიზებას ბაზარში არსებულ პუნქტებში. კვლევის თანახმად ზოგიერთი საშუალო ზომის ფერმერი საქონლის ხორცს აწვდის რესტორნებს და ადგილობრივ სასტუმროებს რაც მათთან მუდმივი ურთიერთობის შედეგია.

დიდი ზომის ფერმერული მეურნეობები როგორც წესი თავადვე ფლობენ პირუტყვის სასაკლაოს. მაგალითისთვის რაჭაში არსებული დიდი ზომის ფერმერულ მეურნეობას ფერმიდან 100 მეტრის მოშორებით აქვს პირუტყვის სასაკლაო, რაც ტრანსპორტირების ხარჯებს არ მოითხოვს. ამასთან დაკლულ საქონელს თავადვე ამუშავებენ და მიყავთ საბოლოო სარეალიზაციო სახემდე რაც გამორიცხავს დამატებითი რგოლების ჩართულობას. დიდი ზომის ფერმერული მეურნეობები როგორც წესი ფლობენ ერთ ან რამდენიმე მაღაზიას და სარეალიზაციო პუნქტს საიდანაც ხდება პროდუქციის საბოლოო მომხმარებლამდე მიტანა.

7.2 ტრანსპორტირება და გადაადგილება

ფერმერებისაგან შეძენილ ცოცხალ პირუტყვს შუამავლები (ყასბები) როგორც წესი, საკუთარი საშუალო ტვირთამწეობის მანქანით გადაადგილებენ სასაკლაომდე. ხორცის სასაკლაოდან ბაზრამდე ტრანსპორტირებისათვის კი გამოიყენება სტაციონალური მაცივარ-მანქანები, რომლებიც როგორც წესი სასაკლაოების საკუთრებაშია. ხოლო მათი მომსახურების სავსაური ქუთაისის მასშტაბით არის 5 ლარი მცირე ზომის საქონლის ტრანსპორტირებისაგან და 10 ლარი დიდი ზომის საქონლის ტრანსპორტირებისათვის. მსხვილ მებითუმეებს ჰყავთ საკუთარი მაცივარ მანქანები, რომლის დახმარებითაც ხდება პროდუქციის ტრანსპორტირება თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში.

კვლევის შედეგად დადგინდა რომ სამიზნე რეგიონში, ზაფხულის საძოვრებზე საქონლის გადარეკვის მიზნით ორი ძრითადი მეთოდი გამოიყენება. გრძელი მარშრუტების შემთხვევაში

ფერმერები იყენებენ სატვირთო ავტომობილებს რომლითაც შესაძლებელია გადაყვანილი იქნას საშუალოდ 10-ი ძროხა. ერთი გადაყვანის საშუალო ღირებულება მერყეობს 200 დან 450 ლარამდე (ამოკიდებულია მანძილზე). მოკლე დისტანციის შემთხვევაში ფერმერები თავადვე მწყემსავენ პირუტყვს და ფეხით გადაჰყავთ ზამთრის სამოვრებზე.

დიდი ზომის ფერმერულ მეურნეობებს, როგორც წესი თავადვე ყავთ სპეციალური ავტომობილები რომელთა საშუალებითაც ახდენენ როგორც ცოცხალი საქონლის ასევე ხორცის ტრანსპორტირებას.

7.3 დაავადებები და ქიმიური საფრთხეები

ძირითადი საფრთხე არის სხვადასხვა სახის ეპიდემიის გავრცელება ცხოველებში, რომელიც იწვევენ მათ მასიურ დაცემას ან/და საკვებად გამოუსადეგარს ხდიან მათგან მიღებულ პროდუქტს - ხორცს და რძეს. ეპიდემიის თავიდან აცილებისათვის უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვა ფერმებში, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, ასევე აუცილებელი მედიკამენტების სისტემატიური გამოყენება და ა.შ.

კვლევამ აჩვენა, რომ მსხვილ მეწარმეებს, როგორც წესი, ყავთ საკუთარი ვეტერინარები, რომლებიც მუდმივად აკონტროლებენ ფერმებში არსებულ სიტუაციებს დაავადებათა წარმოქმნის პრევენციის მიზნით, ხოლო საშუალო და წვრილი ფერმერები ანალოგიურ მომსახურებას იღებენ ვეტ აფთიაქებისა და ინდივიდუალური ვეტერინარებისაგან.

დაავადებათა გავრცელების პრევენციის მიზნით, სახელმწიფოს მიერ ხორციელდება პროფილაქტიკური აცრები ჯილეხზე და თურქულზე, ასევე გამოკვლევები ბრუცელიოზზე. სხვა დაავადებებთან მიმართებაში კი ფერმერები თავად ახდენენ პირუტყვის დაცვას შესაბამისი აცრების გაკეთებით. საჭირო მედიკამენტები საშუალო და მსხვილ ფერმერებს ჩამოაქვთ თბილისიდან საბითუმო ფასად, რაც რამდენიმე ათეული სული პირიტყვის არსებობის შემთხვევაში ეკონომიკურად მომგებიანი არის.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგადად ვეტერინარული მომსახურების დონე უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა, პრაქტიკულად არ არსებობს კვალიფიცირებული კადრები, არ ხდება არსებული სპეციალისტების სისტემური გადამზადება და ტრენინგი, სუსტადაა განვითარებული ახალი სპეციალისტების მომზადების სისტემა, თუმცა ბოლო წლებში გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. ამასთან, ბუნებისდაცვითი რეგულაციების გამო, მაღალმთიან რეგიონებში (ხარაგაული,რაჭა) ტყეებში გაიზარდა მტაცებელთა რაოდენობა, ძირითადად მგელი, რაც ასევე წარმოადგენს გარკვეულ რისკს როგორც პირუტყვის მოტაცების ასევე მათი დაინფიცირების.

8 მომარაგების ჯაჭვის მენეჯმენტი - პროდუქციის და ინფორმაციის მოძრაობა ჯაჭვში

მცირე ზომის ფერმერული მეურნეობები როგორც წესი, საკუთარ პროდუქციას ადგილობრივ ბაზრებზე თავადვე ყიდიან ან მეზობლებს აბარებენ გასაყიდად. გადამყიდველები, ყიდულობენ მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე დღის მარაგს. პირველ ეტაპზე საქონლის ხორცს სპეციალურ საკიდებზე ათავსებენ შემდეგ კი ვაგონ მაცივარში ან დახლმაცივარში ინახავენ. მწარმოებლებსა და ყასბებს შორის შეთანხმება ფასზე და გარიგების სხვა პირობებზე ხდება უშუალო ზეპირი მოპალარაკების საფუძველზე, თუმცა გადამყიდველები ყოველთვის მოითხოვენ სურსათის უვნებლობის დამადასტურებელ ცნობა, ეგრედ წოდებულ ფორმა #2-ს.

საშუალო და დიდი ზომის ფერმერული მეურნეობები უმეტესწილად თავადვე ახდენენ საკუთარი პროდუქციის გავრცელებასა და გაყიდვას. გარდა ყასბებისა, ბიზნეს ურთიერთობას ამყარებენ, სხვადასხვა ზომის სავაჭრო თუ საზ. კვების ობიექტებთან, რომელთაც სისტემატიურად აწვდიან პროდუქციის წინასწარ შეთანხმებულ რაოდენობას. ხორცპროდუქტების მწარმოებელ ზოგიერთ საწარმოს, აქვს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი და საფირმო მალაზიები, რომელთა საშუალებითაც ახდენენ პროდუქციის რეალიზაციას.

დიდ პრობლემას წარმოადგენს ფერმერებისათვის ახალი ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემა. ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია ვრცელდება არაფორმალური გზებით, რაც მეტწილად ამახინჯებს და ცვლის ინფორმაციის არსს. ინფორმაციის ზეპირსიტყვიერი და არაკვალიფიციური გავრცელება დიდი ზიანს აყენებს ადგილობრივ მეურნეობებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ხშირად მედიკამენტებისა და სხვა საჭირო მასალების შესახებ ინფორმაციას იღებენ უშუალოდ გადამყიდველებისაგან, რაც ხშირად არაზუსტი ან არასაკმარისია. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2013 წლიდან შექმნა სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრები. აღნიშნული ცენტრები ფუნქციონირებს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში. ამჟამად ცენტრების ცნობადობა და ნდობა მათდამი საკმაოდ მცირეა, თუმცა, როგორც განგვიცხადეს იგეგმება ღონისძიებები ცენტრების პოპულარიზაციისათვის.

9 ადამიანური რესურსები, სოციალური კაპიტალი და გაფართოების შესაძლებლობები

9.1 Know-how და ხელმისაწვდომობა გაფართოების სერვისებზე

იმერეთისა და ლეჩხუმის რეგიონში არ არსებობს რაიმე სახის ორგანიზებული სასწავლო-ტრენინგ კურსი, რომელიც საბაზისო განათლებას მისცემდა დაინტერესებულ პირს მესაქონლეობის სფეროში. პერიოდულად სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ

იმართება ტრენინგები მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა მწარმოებელთა უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია მათ შესახებ. შესაბამისად ისინი კონსულტაციებს როგორც წესი იღებენ უფრო გამოცდილი ფერმერებისაგან, ვეტერინარებისაგან ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტში შექმნილი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურებისაგან.

რაჭაში კომპანია „ბლაუნშტაინ საქართველოს“ შექმნილი აქვს სპეციალური ტრენინგ კურსი, სადაც ფერმერებს შეუძლიათ შეისწავლონ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლის თანამედროვე მიდგომები. კომპანია ბლაუნშტაინი ფლობს 500 სულიან ფერმერულ მეურნეობას ონის რაიონის სოფელ შარდომეთში, სადაც არის განლაგებული მისი გადამამუშავებელი საწარმო და ტრენინგ ცენტრი. ტრენინგი მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ საკითხებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ფერმერთა გარკვეული ნაწილისათვის სურვილის მიუხედავად, ხელმისაწვდომი არ არის თანამედროვე ცოდნის და გამოცდილების მიღება მესაქონლეობის სფეროში. შესაბამისად დაბალია ფერმერთა შორის თანამედროვე ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების ტემპი.

9.2 ფორმალური განათლების შესაძლებლობები

მესაქონლეობის როგორც პროფესიის შესწავლის შესაძლებლობა საქართველოში არ არსებობს. აღნიშნული დარგის საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა არ არის დანერგილი არცერთ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. ამასთან რეგიონში არსებული პროფესიული სასწავლებლები და კოლეჯები სთავაზობს მხოლოდ ვეტერინარის და აგრონომის პროფესიას, რომელიც შორს არის უშუალოდ მესაქონლეობისაგან.

მესაქონლეობასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული დარგი არის ვეტერინარია, რომლი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა უნივერსიტეტები (აგრარული უნივერსიტეტი – თბილისი, ახალციხის უნივერსიტეტი – ახალციხე) სთავაზობს. ამასთან უშუალოდ იმერეთისა და რაჭა–ლეჩხუმის რეგიონებში არ არსებობს შესაბამისი სასწავლო დაწესებულებები. თუმცა, თითქმის არაა ხელმისაწვდომი დარგთან დაკავშირებული პროფესიების/ხელობების პროფესიული განათლების/გადამზადების პროგრამები, მაგალითად: ფერმერობა; ყასაბობა და სხვა.

9.3 სოციალური კაპიტალი და თანამშრომლობა

დარგში კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია, რეგიონში არსებული რამდენიმე კოოპერატივი არსებითად ვერ ქმნის ამინდს დარგში, თუმცა ინდივიდუალურ მწარმოებელთა შორის არსებობს არაფორმალური ურთიერთობები, რომლის ფარგლებშიც ისინი აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას საკვების, მედიკამენტების, მყიდველების და სხვა საკითხების შესახებ.

კვლევამ აჩვენა, რომ წვრილი საოჯახო მეურნეობების ინტერესი და ნდობა კოოპერატივში

გაწევრიანებასთან დაკავშირებით არის დაბალი და ამის წარმატებული პრეცედენტებიც თითქმის არ არსებობს.

10 ინსტიტუციები და ბიზნეს-გარემო

10.1 ბიზნეს გარემო

რეგიონში მესაქონლეობის განვითარებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობების არსებობის მიუხედავად დარგის, როგორც ბიზნესის განვითარების დონე საკმაოდ დაბალია. ძირითადად ადგილი აქვს ექსტენსიურ მეურნეობას.

რაც შეეხება ხორცის პროდუქტების ბაზარზე არსებულ მდგომარეობას რეგიონში, ის ხასიათდება მომწოდებელთა და მომხმარებელთა დიდი რაოდენობით, რომელთაგან ვერც ერთი მათგანი ცალკე აღებული ვერ ახდენს გავლენას სარეალიზაციო ფასზე და ის ყალიბდება მთლიანი მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედების შედეგად.

ბაზარზე არ არსებობს ან უკიდურესად სუსტია არაფორმალური ბარიერები, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მისაღები ხარისხის/ფასის შემთხვევაში ადვილად მოხდეს ბაზარზე პროდუქციის დამკვიდრება.

10.2 მთავრობის მხარდაჭერა

კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი მიმართულება, რომელშიც ხორცისა და ხორცპროდუქტების ადგილობრივი მწარმოებლები სახელმწიფოს მხარდაჭერას მოითხოვენ არის შემდეგი:

- **შელავათიან გრძელვადიან საკრედიტო რესურსებზე წვდომა.** ფერმერულ მეურნეობებს ძნელად მიუწვდებათ ხელი საკრედიტო რესურსებზე, რომელიც გამოყენებული იქნებოდა მეურნეობის განვითარებისათვის. კერძოდ უფრო პროდუქტიული ჯიშის პირუტყვის შემოყვანისათვის, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისათვის, თანამედროვე აღჭურვილობის შექმნისათვის, საკვების წარმოების განვითარებისათვის და ა.შ.
- **თანამედროვე განათლება.** ფერმერები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ინფორმაციის მიღებას დარგში არსებულ სიახლეებზე, ისეთი საკითხების შესახებ როგორცაა საქონლის მოვლა, საკვები საშუალებები, მედიკამენტები, პროდუქციის წარმოება და ა.შ.

11 დასკვნები და რეკომენდაციები

11.1 SWOT

<p>S</p> <ul style="list-style-type: none"> • მესაქონლეობის ხანგრძლივი გამოცდილება • ალპური საძოვრები (რაჭა) 	<p>W</p> <ul style="list-style-type: none"> • დაბალი პროდუქტიული ჯიშები • თანამედროვე აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა • საკრედიტო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა • დაბალი კვალიფიკაცია • მართვის ნაკლები გამოცდილება
<p>O</p> <ul style="list-style-type: none"> • მთავრობის პოლიტიკა ადგილობრივი წარმოების გასანვითარებლად • ინვესტიციების მოზიდვა • მაღალპროდუქტიული ჯიშების მოშენება • კოოპერაციის განვითარება 	<p>T</p> <ul style="list-style-type: none"> • დაბალხარისხიანი ხორცის იმპორტის ზრდის რისკი • ეპიდემიის გავრცელების რისკი

11.2 მცირე ფერმერებისთვის რა წარმოადგენს ხორცის წარმოების ქსელის გაუმჯობესების პოტენციალს?

1. **ფერმერული მეურნეობების გამსხვილება** - კვლევამ აჩვენა, რომ მცირე ზომის მეურნეობები ნაკლებად მომგებიანი არის ვიდრე შედარებით მსხვილი მეურნეობები, თუმცა მიუხედავად ამისა, მეურნეობების უმეტესობა, დაახლოებით 90% სწორედ მცირე ზომის (10 ძროხამდე) არის;
2. **ხელოვნური საკვებწარმოების პრაქტიკის განვითარება და დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში** - ცხოველის სრულყოფილი კვება დიდად განაპირობებს მის პროდუქტიულობას, ამიტომ აუცილებელია იმ დარგების განვითარება, რომელიც საკვებით ამარაგებს მეცხოველეობას;
3. **ადგილობრივ პირობებთან შესაბამისი, მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვა** - არსებული პირუტყვი ხასიათდება უაღრესად დაბალი პროდუქტიულობით, ამიტომ აუცილებელია ქვეყანაში სანაშენე მეურნეობების შექმნა, საიდანაც ფერმერებს შეეძლებათ პროდუქტიული საქონლის მიღება;
4. **ვეტერინარული მომსახურების ხარისხის ამაღლება ქვეყანაში** - ამისათვის აუცილებელია

ერთის მხრივ კვალიფიციურ ვეტერინართა არსებობა და მეორეს მხრივ, ხარისხიანი სამკურნალო საშუალებები (მედიკამენტები).

12 ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო - geostst.ge
2. USDA – Economic Research Service – Meat Prices (global/regional)
3. Meat price outlook 2013
4. www.agro.ge/index.php?m=1089
5. http://geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo
6. http://nfa.gov.ge/index.php/lang_id=GEO&sec_id=89
7. <http://moa.gov.ge/>
8. <http://www.gurianews.com/2010-11-25-17-01-...1-19-43-36.html>